# შრომა
## სურათებიანი დამატება

დამატების № 32 | კვირა, 30 ივლისი, 1906 წ. | გაზეთის № 94


МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

### „ესეც ბორკილი!“

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

ქვეყანას გაცრეცილ-გახუნებულის ფერი ედო. ხეებს ფოთლები ჩამოსცვივნოდათ, დამხმარი, დაყვითლებული და გაკრუჩხული ფოთლები ჩაჰქსელოდა ამწვარს და სიცოცხლე გამოლეულ ბალახს, თითქოს დეჯამიწაზედ უხალისო ფერის ხალი ჩაუქსოვიათო. ხის დატიტვლებული კენწეროები ნიავის ყოველ შემობერვაზე ირძოდნენ მოწყობილ მანქანასავით, ერთმანეთს ეხლებოდნენ, თავ-პირს იმტრევდნენ და შესტიროდნენ სიცივ-სიტიტვლეს.

დეკემბრის დღე იყო. მზეს სადილობაზედ აეწია და სუსტი სხივები მიებნია ერთ ღარიბ ოთახის ფანჯრის მინებზედ. ეს ოთახი სოფლის სკოლის მასწავლებელს ეკუთვნოდა. იმ დღეს სკოლის ეზო სავსე იყო ხალხით. ზოგნი დიდის ნაძვის ფესვებზე ჩამომსხდარიყვნენ, ნაბდებ წამოსხმულნი ჩიბუხებს სწევდნენ და ცხარედ ლაპარაკობდნენ; ზოგნიც გუნდ-გუნდად იკრიბებოდნენ და ყაყანობდნენ.

ერთ მოხუცს დაებჯინა ყავარჯენი და მიწას ხაზებს ავლებდა.

— ა, ბატონო ჩემო; აგი ხო ფარგალია, იგი ახლა ხო ჩემია, აგი ხო გორაა, ა, ამას სად წუუხვალ? საწყალი გლახუეის გამონაყოფია.

— არა, ფარნაოზა, არა: მასე რავა იქნება? გოგიი, დიმიტრიი, ყველეი ქე იტყვის ამას...

— მამა არ წამიწყდეს, ზალიკა, მასე არაა საქმე, საწყალი მამა ჩემი რო...

— ხალხო! აქით აქით, მოით! ყვიროდნენ მეორე კუთხიდან.

— გაუგონეთ, რას ამბობს ე კაცი!

— რეიზა ვიზამ ახლა ამას, რეიზა?—ანჩხლობდა ერთი კაცი ერთ ჯგუფში.—მე და ნიკოლოზეი რომ ჭალიდიდს ვიყავით, ხეებს რო ვწიკავდით, ათასი მანეთი გამოგვივიდა მონაგები; მერე რო გავყავით აგი ფული, ხუთასი მანეთი იმას დარჩა და ხუთასი მე. ნიკოლოზეი კოხტა ბიჭი იყო, უნდოდა აფხანიკებში თავის გამოჩენა, წეიღო ი ფულები და ქე შეჭამა არღანზე და ღვინოში. მე პრიამათ ჩემ სახლს მოვაშურე და ჩემ ცოლ-შვილში მევეი. მიორე დღეს გამომიგზავნა კაცი კნიაზ ზურაბმა, ქალიშვილს ვათხოვეფ და ფული მჭირიაო, ჩემი ჭალა, შენი ვენახის ბოლოზე როა, იმას მოგყიდი და ფარას ნუ დამიკავეფო. მეც ვიფიქრე, გევიმართე წელში კაცი, ხუთი ქცევა ჭალა, დილომია მიწა, თუ მართლა შეელევა, ჩემი სამოძირო მობრუნდება მეთქი. ეიღო იმ კაცმა და ოთხას მანეთში ქე მომცა ი ჩემი ჭალეი. ასი მანეთი რო დამრჩა, კაი ხარები ვიყიდე, დღე და ღამე ვიმუშავე, წელში გავწყდი კაცი. მთვარიანი ღამე რო იყო, მე ქე გთოხნიდი და ესიკეი, ჩემი სახლიკაცი, წამ-ამჯდარიყო კნიაზ დათასას და ძველი ამბავებით, ვის რა ექნა პახოთობაზეო, იმით იქცევდენ თავს და ნისიათ მოტანილ შავ ღვინოს მიირთმევდენ. მე სიმიდი რო სასიმიდეში ჩავყარე და სტველი მივაკაცრიელე, დავტუე დედაკაცი შინ წვრილი ბალნების ამარეი და აჯამეთში წევვდი ხერხზე სამუშაოთ. გუგუნათ ზამთარში რიონის პირზე ფაცხაში მეძინა. წყალ დიდობა რო მევიდოდა, წყალი ქე შამევიდოდა ფაცხაში და იმ ჩემ ლოგინს ქე აათორიალებდა ზეით, მარა მე მაინც თავს ვაკლავდი მუშაობას. თელი ზამთარი იქინეი ვიყავი და თუთხმეტი თუმანი ვიშოვე. ჩემ დედაკაცს სახლში—რა გიჭირს, ორმოცი მანეთის საჩოხე შალი დეექსოვა. ამ ფარებით კიდონ ქე ვიყიდე პეტერეი რაცხა, მერე ბალნები წამეიზარდენ და იგენიც ქე იმოსავდენ კანს. ასე, სანახევროთ ცოლ-შვილზე მოცილებული, გაძაღლებით და ჩემი ოფლით მიშოვნია პეტერეი ორი კვალი მიწა, ერთი ძროხა, ორი ღორი, ერთი ჯარგვალეი ოდაც ქე დევიკუნცხე, ახლა ქე მაინც ჰვარტლი არ ჩამივარდება საინში, ისე შევჭამ ორ ლუკმა ჭადს და ლობიას. ახლა შენ მოსულხარ და მეუბნები შენი არაა, უნდა წაგართვა, უნდა გევიყაროთო! რავა, ჩემი არაა, ღმერთი არაა ქვეყანაზე?

— მეიცა, მეიცა, ივანე! რო ყვირი და გულზე სკდები, მაგი რაა? მასე-კი არაა: ი კაცები ამბობენ, კერძო საკუთრება უნდა მეისპოსო, ყველა საერთოთ უნდა მუშაობდეს და საერთოთ იყოფდეს, კაცს მისი ნაშრომი ეკუთნის და არა მიწაო,—უთხრა ერთმა.



სტუდენტი რიჟინაშვილი

ქუთაისში ვერაგულად მოკლული

— უუი, მამია, შენც-კი გინდა! ნამუშევარი არაა, კაცო აპა, რას გეუნებოდი ახლა, ასე ვმუშაობდი მეთქინ. შენ რო იგი გაგიყო, ახლა იმის საფასურს ვინ მაძლევს მე? მანდა მაინც უნდა მაშინ შემეჭამა? ქვეყანა დიდია და დიდ ქვეყანაში ზარმაცი და ზანტრაკიც ბრევლია, ერთობა, ერთობა დაგიჯინებიათ, ვინც ზარმაცია, რაც უნდა ერთობა უთხრა, მაინც არ იმუშავებს. შენი ბიძაშვილი რომაა, კირილიი, ქალი რო ითხოვა, სამასი მანეთი მიცენ გზითვათ, იმის მაგიერათ, ღარიბი ოჯახიზა რო მიეხმარა გაჭირებული კაციდან აღებული, იმან, ბატონო, იყიდა ლეკური და გარეიკინწილა ძაღლის უღელივით, ქაშვეთობას დათვრა, გასკდა, გევიდა ჯარში, დეერია, დაჩეხა და დაწყვიტა ხალხი; გარუუწყვიტეს სამი წლის გარასახლება. საწყალი მამა მისი თლათ დეიფსო. მერე ჩამევიდა, ბატონო, გამეიცვალა ხასიათი თუ? აჰა, შე აცო, კიდო ისე დაოხროფს. მოდი ახლა და იმას შენ უთხარი, ერთობა თქვა! იგი იმუშავეებს? მაისანა რამდონია და ამ ბებერმა კაცმა იმიზა უნდა მევიწყვიტო წელი, რო სტველის მოწევის დროს იგენმა წილი იყარონ და მუშაობის დროს ეშმაკებში ირბინონ?



**გალობა დანტეს ჯოჯოხეთიდან.**—სურათი ბენედიკოსი.

— არა კაცო, არა,—ჩაერია მესამე.

— მაგი მასე კი არ იქნება: იმ დროს ყველეი ქე იმუშავებს, ყველეი...

— და ვინცხა არ იმუშავებს, იმას რას უქომ, ნათლია?—ჩაერია ერთი მოხუცი.

— იმას ქე ეყოლება კანტროლი,—სთქვეს სხვებმა.

სკოლის ეზოს ღობეს მეორე მხარეს ახალ-გაზრდა ქალები იდგნენ, რომელთაც შიგნით შესვლა ვერ გაებედნათ. მესერზე შეცოცებულიყვნენ ფეხ-შიშველა, დაფლეთილი ბავშვები, სარიდან სარზე გადადიოდნენ და ყურს უგდებდნენ მოლაპარაკეთ.

იქვე, სკოლის კიბეზე ჩამომჯდარიყო იმავე სკოლის მასწავლებელი; იმის სანდომიანს და მიმზიდველს სახეს რაღაც დარდი გადაჰკროდა. გაყვითლებულ ჩაცვენილ ლოყებზედ ორი დიდი ღარი აჩნდა, რაიცა გონების მუშაობას იმტკიცებდა.

— ხალხო, თუ რამცს უწყვეტთ იმ კაცებს, ქე გარუწყვიტოთ ბარემამ, თვარა ქე გოუშვაო!—დაიძახა ერთმა.

მასწავლებელი აივანზედ ავიდა და ნელა უთხრა ხალხს:

— მართალს ამბობს ეს კაცი: მთელი დღე ვლაყბობთ და კი ვერ გადაგვიწყვეტნია ერთი საქმე.

ამ დროს აივანზე ამოიჭრა ერთი ჭაღარა კაცი და დაიძახა:

— აფხანიკებო, აფხანიკებო! აპა გარავწყვიტოთ, იმ კაცებს რა უყოთ...

ეზოში გაბნეულმა ხალხმა ხვეულებით გამოსწია სკოლისკენ და იქ მოიყარა თავი.

— აფხანიკებო!—დაიწყო ისევ პირველმა.—რავარც ქე მოგეხსენებათ, მესამე დღეია დამწყროული გვყავს აზნაური სოლომონ არწივაძე.

— აზნაური-კი არა, იგი უთხარი! დღეს იგიც ჩვენი ტოლია!—დაიძახა ვილაცამ.

— ასე ქვია მაინც, აფხანიკო!—უთხრა მეორემ.

— კარქა ამბობს, კარქა!—შესძახა მესამემ.

— ჯერ გავიგონოთ, რას იტყვის ეს კაცი და შემდეგ ჩვენი ვსთქვათ,—მიმართა ხალხს მასწავლებელმა.

ხალხი დაჩუმდა.

— განაგრძეთ,—მიუბრუნდა პირველ მოლაპარაკეს მასწავლებელი და იქვე ჩამოჯდა.

— ჰო.—დაიწყო პირველმა.—ვანიკი ცეცერაძეს და ვასილეი ბოკორტაშვილს, რომლებიც დევიჭირეთ, როცა ნიკოლოზეის ქართიდან ძროხა გარმოყავდათ, ამისთანეი საქმე ბევრჯელ უქნიათ. ყველამ ქე ვიცით: ყარამანას ცხენი რო მოპარეს, ვაპატიეთ, ბაცაძეებს ცხვრები რო მოპარეს, ცხვრების ნაფასური გარავახთევიეთ, პირობა მოგვცენ, აწი აღარ ვიქმთო. ახლა კიდომ ასე ქნეს, და ახლა თქვენ იცით, რასაც გარუწყვეტთ.

— გარავახთევიოთ ძროხის ფასი!—დაიძახა ერთმა.

— რას ამბობ, კაცო! მაგინი ბორკილის ღირსი არიენ, ბორკილის! ასე იალაღზე თუ ოუშვით...—ცხარობდა მეორე.

დიდხანს ითათბირა ხალხმა და ბოლოს გადასწყვიტა, სამ-სამის თვით ბორკილი დაადოს და თავიანთ სახლებში დასტოვოს.

ხუთის წუთის განმავლობაში მხარზედ თოფ-გადადებული ბიჭი ჩავარდა იქვე მეზობლისას, ეზო მიიარ-მოიარა, ღობეზედ დაინახა გადაკიდებული ცხენის ბორკილი და ჩხრიალით წამოიღო.

— დია, სა მიგაქ მაი ბროკილი? უმაგისოდ ჩვენი კუზაიი ერთ ღამეს არ ვარგა, ვერ გაგატან, დია, ვერა!—მისძახოდა და ფარფატით მისდევდა თავ შეხვეული, წელში მოხრილი დედაბერი.

— ერთობამ გამომალზანა, ერთობამ!—მიაძახა ბიჭმა და გაიქცა.

სკოლის გადმოღმა, მესერთან პატარა გომური იყო. რად აეშენებინათ, არ ვიცი, მაგრამ ეტყობოდა-კი, რომ წვიმიან დღეში იქ ღორები აფარებდნენ თავს. იმ დღეს გომურის კარები მძიმე კლიტით იყო დაკეტილი. გომურს პაწაწა სარკმელი ჰქონდა გამოჭრილი, სარკმელთან ორი თოფ ფეხზე შეყენებული კაცი იდგა. გომურიდან დაუდევარი სიცილ-ხარხარი ისმოდა. ყარაულებიც ელაზღანდარებოდნენ ტუსაღებს და პაპიროზს აწოდებდნენ.

— ე, კუტა, ახლა კი გლახათაა თქვენი საქმე: უშვეღებელი ბორკილები მეიტანეს. ე ოჯაქორები, ცხენის ბორკილს გიყრიენ!—სთქვა ერთმა.

ტუსაღებს ფერიც არა სცვლიათ, ვითომ მათ არ შეეხებოდათ. უდარდელად განაგრძობდნენ ოხუნჯობას. არ გაუვლია დიდ ხანს, რომ გომურის კარი გააღეს და ტყვეები გამოიყვანეს.

— კაცო, ამისთანა რა წავახდინეთ, რო ბორკილს გვადობთ? ეგი ხო გამოწყვეტაა?—სთქვა ერთმა. გარაგვახთევინეთ სამი წილი, ბატონო, და ამ საარაკო საქმეს ნუ გვიზამთ.

ჩვენ კიარა, ესე ქრისტე შეცდა. ამ ერთხელ გვაპატიეთ და, თუ კიდო ვქნათ, ფეხებზე-კი არა, კისერზე დაგვადევით, ბატონო.

ასეთი სიტყვები ბევრი დაიხარჯა ხალხში ხელახლა ჩორჩქოლი და ლაპარაკი გაისმა.

— ვეჟო და, ვაპატიოთ ამ ერთხელ კიდო!—ამბობდა რამდენიმე

მეორეჯელ თუ ქნენ, მაშინ კი...—უმატებდნენე სხვები. ნაწილი იძახდა ვაპატიოთო, ნაწილი კი არაო. ბოლოს უმრავლესობა პატიების მომხრე გამოდა.

— ძალიან მაკვირვებს, ხალხო, თქვენი საქციელი!—მიმართა ხალხს მასწავლებელმა.—ისე იქცევით ამოდენა კაცები, თითქოს ბავშვები ქორო-ბუდას თამაშობენო. შეგროვდებით და მთელი დღეები ყაყანობთ, ბოლოს გამოგივათ არაფერი, თითქოს მარტის დღე იყოთ. ხან დაადგენთ გადაწყვეტილებასა, ხან დაარღვევთ, რომელი ერთი დაიჯეროს კაცმა? თუ წელან დასასჯელნი იყვნენ ეს კაცები, ეხლა რაო?. და თუ არა, მაშინ არ ვიცი, რას მივაწერო ესეთი გადახვევ გადმოხვევა...

— მინოოთობას იხთიენ, აწი არ ვიზამთო, ამბობენ,—მიუგო ხალხმა.

ესეთი პირობა ბევრჯელ დადებილა და დარღვეულა კიდეც!—სთქვა მასწავლებელმა.

— შენ რა შეგეძინება ჩვენი კალონის მოხთით, ოჰ?—შეუბრიალა თვალები სოლომონმა.

— შენ რა გინდა, შენი რა საქმეა? შენ წაგიხთინეთ რამე?—შესძახა ვასილმა·

— მე-კი არაფერი მინდა, მაგრამ მე ხალხს ვეუბნები აზრს და შეხედულებას. დანაშაული ერთხელ და ორხელ ეპატიება კაცს და არა ყოველთვის.

ხალხი ისევ აყაყანდა.

— მართალს ამბობს ღმერთმანი, მართალს ამბობს!—გაისმა აქეთ-იქიდან.

მე არაფერსაც არ ვამბობ, ჩემსას ნურც ერთს დაიჯერებთ და ნურც მეორეს, თავად დაფიქრდით გონიერათ და, როგორც გაგიჭრათ ჭკვამ, ისე მოიქეცით. ხალხი თვით უნდა აზროვნებდეს, თავის გონებით და შეხედულებით უნდა მოქმედებდეს და არა სხვის მითითებით.

ამის შემდეგ დიდ ხანს აღარ უცდია ხალხს და გადასწყვიტა ისევ დაედო ბორკილები.

— თუ ბიჭი ვყოფილვარ და ულვაში მასხია, გიზამ მაგიერს!—ჩაილაპარაკა ვასილმა და ბორკილ დადებული გაჰყვა ამხანაგებს.

ხალხი წავიდა და სკოლის ეზო დაცარიელდა. მასწავლებელი დაღვრემილი მისჩერებოდა მიმავალ ხალხს.

ანდროს სამასწავლებლო ინსტიტუტი ჰქონდა გათავებული. სწავლის დროს კარგ მოწაფედ ითვლებოდა. იწვა, იჯდა თუ სეირნობდა, წიგნი ხელში ეჭირა და კითხულობდა. იმის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა, რადგან განვითარებულ ყმაწვილად ითვლებოდა. სამაგიეროდ, რამდენადაც ამხანაგებს უყვარდათ, იმდენად მასწავლებლებს ეჯავრებოდათ, პირში ვერას უბედავდნენ, რადგან ანდრომ დათმობა არ იცოდა.. ერთხელ აღკრძალული წიგნები უპოვნეს და სასწავლებლიდან გაგდება დაუპირეს, მაგრამ ამხანაგები მიეშველნენ, გაიფიცნენ და იძულებული გახადეს დირექტორი ანდრო დაეტოვებინა. ის იყო ახალმა სიომ სკოლასაც დაჰბერა, ამიტომ მოწაფენი ერთის პირისანი იყვნენ და ერთად მოქმედობდნენ.

ანდრომ გაათავა სწავლა. დიდ ხანს არ გაუვლია და მიიღო იმ სოფლის მასწავლებლობა, სადაც პირველად ვნახეთ. თან წაიყვანა თავის მოხუცი დედა და წავიდა. სოფელს ჩქარა გაეცნო, აქაც მოიპოვა მეგობრები. დაიწყო ხალხში მუშაობა, ხშირათ მთელი ღამეობით იკარგებოდა და გათენებისას დაღლილ დაქანცული ბრუნდებოდა.

სრულიად შემთხვევით ანდრომ გაიცნო ელიკო ორბაძის ქალი. ელიკო ცქ[illegible] და ცოცხალი, მაგრამ ამავე დროს დაკვირვებული ხასიათის პატრონი იყო. ანდრომ პირველსავე შეხვედრაზე მიაქცია ყურადღება. ელიკოს გიმნაზიის მეშვიდე კლასში აელო სწავლაზე ხელი. სოფელში ახალგაზრდა ქალი ყველას უყვარდა და ყველა ანგელოზს ეძახდა.

თავად ბეჟან ორბაძეს, ელიკოს მამას, ამავე სოფლის ბოლოზე ლამაზი სახლი ჰქონდა. ჭკვიანი და ცხოვრების კაცი იყო ბეჟანა. სხვა თავადებივით ქეიფში არ გაეფლანგა თავისი საცხოვრებელი და ეხლა გუდა-აკიდებული არ დაწანწალებდა. ქალ-ვაჟი ჰყავდა—ელიკო და მიშა. მიშა ეხლა გიმნაზიის მეექვსე კლასში იყო, სოფელში იშვიათად ჩამოდიოდა და არაფრად აინტერესებდა სოფლის გაჭირვება-დალხინება. იმისა და ელიკოს შორის არა იყო რა საერთო, ისინი სრულებით ვერ იცნობდნენ ერთმანეთს, უცხონი იყვნენ ერთმანეთისთვის.

— მოთმინებიდან გამოვყევარ, ელიკო, შენს საქციელს!—ეტყოდა ხოლმე ძმა.—რა შენი ტოლი და ამხანაგები არიან, რომ ეგრე თავს უყადრებ.

— შენ გირჩევნია, სადავეს დაუჭირო! ეგრე აღვირ-წახსნილი ნუ ხარ, თორემ ნახავ შენს სეირს... შენი თავ გასულობა აღარ გარგია, წინ დაიხედე.—მიუგებდა ხოლმე ელიკო და თ[illegible] დაუმატებდა:—ჰო, უკაცრავად, დამავიწყდა, თავადიშვილი ბრძანდები...

— მაშ არ იცი? მე თავადი ვარ და თავადის სისხლი სჩქეფს ჩემს ძარღვებში, შენ ჩემი და არა ხარ.

— წადი, წადი აქედან, შენ ხომ ვერას შეისმენ!—შეუტევდა ელიკო და ისიც მოსცილდებოდა.

დედას ვაჟის მხარე ეჭირა, მამას-კი ქალისა.

— ვენაცვალე ჩემს მიშას! ჩემი შთამომავლობის სისხლი ტრიალებს მაგის ძარღვებში.—იტყოდა ხოლმე ამაყად კნეინა ეფემია და დაუმატებდა:—ელიკო მე სრულებით არა მგავს, რაღაც ნაირიაო.

— სამაგიეროდ, მე მგავს, კეთილი გულისაა თავ-მდაბალი, ჭკვიანია ჩემი გოგონა,—მიუგებდა სიამოვნებით ბეჟანი.

ანდრომ გაიცნო ბეჟანის ოჯახი. არ გასულა დიდი დრო რომ ელიკო და ანდრო ძლიერ დაახლოვდნენ. ხშირად ჰხვდებოდნენ ერთმანეთს, ხშირად დასეირნობდნენ მინდორ-ველში, გულმა გული იცნო და ამითი დაშორება ახლა ძნელი ი[illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა



მაისის ერთ საღამოს მინდორში დაგვიანდათ და გაჩქარებულნი მიეშურებოდენ ელიკოს სახლისაკენ. ტყე უნდა გაევლოთ. ელიკო წინ გარბოდა და აქა-იქ ფოთლებს შორის, ქურდულად ჩამოპარულ მთვარის შუქზე, ელიკოს გაფრიალებული თეთრი, მსუბუქი კაბა პრიალებდა, თითქო სხივებს აბნევსო. ანდრო უკან მისდევდა, ხელში მსხვილი ჯოხი ეჭირა, ხან ერთ ხეს შამოჰკრავდა და ხან მეორეს.

— ელიკო, ეგრე წინ რომ მირბიხარ, არ გეშინიან?

— რისა უნდა მეშინოდეს? მე შიში არ ვიცი.

— ვთქვათ, უეცრად გამოხტა მგელი ან მელა?

— აი, ჰხედავ? — და ელიკომ მაღალ „კორსაჟიდან“ ამოიღო ლამაზი პატარა რევოლვერი.



**ლოტო.**—აი რა ართობს ტფილისის ბურჟუებს!

— ბიჭოს! შენ აღარა ხუმრობ, ელიკო! მომწონს შენი გამბედაობა, მაგრამ ვაი თუ ეგ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია.

—მაშინ მოკვდეს ელიკო, თუ მიზანში დავაცილო ან ხელი ამიკანკალდეს!

— არ ვიცოდი, თუ ასეთი მამაცი იყავი·

ამ დროს ტყეს გასცდნენ. ერთი მინდორი კიდევ უნდა გაეარათ და სახლში მივიდოდნენ.

მთვარის შუქზე კაცი ადვილად გაარჩევდა, რომ ერთ დიდ მუხას ორი რაღაცა, კაცის მგზავსი, აჩრდილი ეკვროდა.

— სული არ გაბერო, ბიჭო, სული!—უთხრა ერთმა.

— თუ კაი ბიჭია, ახლა ნახოს სეირი, კნიაჟნას რო ამოქარქაშებია! თვარ დავატუებიოთ, ნახოს!—სთქვა მეორემ.

— ქალს აცალე ჩარება, იარაღი არ ექნება იმას რავაც მე იმას ჩავკრა ხანჯალი, შენ ქალს სტაცე ხელი და პირი დუუმუწე,—უთხრა პირველმა,—სუუ მოდიენ.

ორივემ სული გაიკმინდა. ელიკო კიდევ წინ მიდიოდა. როდესაც ხუთის ნაბიჯით ჩასცილდა ჩასაფრებულთ, ანდრო მუხას გაუთანასწორდა. ამ დროს გამოხტა საფრიდან ერთი კაცი, სწვდა უკანიდან და ელვარე ხანჯალი ბეჭის თავში ჩასცა.

— ვაი,— დაიძახა ანდრომ და დაეცა.

ელიკო ამ ხმაზე ერთი ლონივრად გადახტა, მოიხედა და ჩქაროდ შედგა. მეორე ამხანაგი ისე დაიბნა, რომ მუხას ველარ გასცილდა. პირველმა ამოაძრო ანდროს სისხლიანი ხანჯალი.

— ესეც შენი ბორკილი!—ჩასძახა და ელიკოსაკენ გაეშურა.

ანდრომ ამ დროს მიწყივტილის ხმით ამოიკვნესა:

— ელი . . . კო!

---

ყოველივე ეს ერთ წუთს მოხდა. ელიკო მსწრაფად გონს მოვიდა, ორი ნაბიჯი გადადგა, ამოიღო რევოლვერი და ორჯელ ზედიზედ დაახალა მკვლელს. ერთი ტყვია მკლავში მოხვდა, მეორე ასცდა. უცნობნი ამას არ მოელოდა; პირველ ხანს დაიბნენ, მერე იმის მეტი ვერა მოახერხეს-რა, რომ გაიქცნენ და ტყეს შეაფარეს თავი. ელიკომ სამი ტყვია კიდევ მიაყოლა გაქცეულთ და ანდროს მოუბრუნდა.

რევოლვერის ხმაზედ ხალხი მოვარდა მახლობელ სახლებიდან. გონება დაბნეული ელიკო უყვიროდა:

— მიშველეთ, აქეთ მოდით, მოჰკლეს!

სისხლიან კაცის დანახვამ ყველანი შეაწუხა. ანდრო ვიღასაც ჩოხაზედ დაასვენეს, ასწიეს და წაიღეს.

ანდრო ცოცხალი იყო. როცა გონზე მოვიდა, ოთახი ვერ იცნო. იგი თავად ბეჟანისას იწვა. ლოგინთან დაჩოქილ ელიკოს გაფით-ებულ ანდროს ხელი ეჭირა. თვალები მაღლა აეპყრო, თითქოს ხსნას ზევიდან მოელისო: ხან და ხან თავს ძირს დაიღებდა დ დააცქერდებოდა ანდროს მკრთალ სახეს. ტუჩები უთრთოდა და გული ელეოდა. როდესაც ანდროს თვალებს გახელილი დაინახა, ხელზე აკოცა და ტირილი დაიწყო.

— ანდრო, ანდრო!—ჩურჩულებდა ახალგაზდა ქალი.

ანდრომ უძლურად ხელზედ ხელი მოუჭირა და ოდნავ გასაგონის ხმით წაიჩურჩულა:

— ელიკო! ჩემო ანგელოზო, ჩემო ტხოვრებავ!...

მ. გარიჟული.

---

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.